სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/164

ქ. თბილისი

21 ოქტომბერი 2024 წ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნტის და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-11 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის №10 ოქმის (15.10.24.) და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 21 ოქტომბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2024 წლის 15 ოქტომბრის

ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ცნობილ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრის, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის **ასოც. პროფესორ ნუგზარ ხვედელიანის** უფლებამოსილება 4 წლის ვადით.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**